

„შეთანხმებულია“

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის
რეგიონული და ახალგაზრდული ფეხბურთის
განვითარების განყოფილების უფროსი

გ. თამაზაშვილი



2017 წ.

„ვამტკიცებ“

თბილისის ფეხბურთის ფედერაციის
პრეზიდენტი

გ. ცაავა



28

მარტი

2017 წ.

თბილისის რეგიონის ელიტარული ლიგის, ბავშვთა და ჭაბუკთა 2017 წლის პირველობების

რეგლამენტი

1. მიზანი და ამოცანები

- _ ფეხბურთის განვითარება და პოპულარიზაცია;
- _ საფეხბურთო გუნდებისთვის რეზერვების მომზადება;
- _ საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები გუნდებისათვის პერსპექტიული ფეხბურთელების შერჩევა;
- _ გამარჯვებული გუნდების გამოვლენა.

2. შეჯიბრების ხელმძღვანელობა

- _ საფეხბურთო კლუბებს (გუნდებს) შორის შეჯიბრებას ხელმძღვანელობს თბილისის ფეხბურთის ფედერაცია (შემდგომში თფფ), ჩემპიონატების ორგანიზაცია ევალებათ თფფ-ს ბავშვთა ფეხბურთის განყოფილებას;
- _ თამაშები ჩატარდება ქალაქის კეთილმოწყობილ სტადიონებზე, თფფ-ს მიერ დამტკიცებული კალენდრების მიხედვით.

3. მონაწილე გუნდები

3.1 თფფ-ს მიერ ორგანიზებულ ელიტლიგის გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებენ თბილისის საფეხბურთო სკოლები. ელიტლიგა ჩატარდება 7 ასაკობრივ ჯგუფში. 2001, 2002, 2003, 2004, 2005, 2006, 2007 წლებში დაბადებულ ჭაბუკებს შორის. აღმოსავლეთ საქართველოში მოქმედი რეგიონალური ფედერაციების თანხმობის შემთხვევაში, ელიტლიგაში დაშვებული იქნებიან რაიონების საფეხბურთო გუნდები, რომელებიც აკმაყოფილებენ ელიტლიგის მოთხოვნებს.